საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს სახალხო დამცველი

№6 პერიოდული გამოცემა 2016 წ. ივნისი

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

ივნისის მოვლენებს შორის განსაკუთრებით აღვნიშნავდი **საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე წლიური ანგარიშის მოსმენას.** ანგარიშში ჩვენი აპარატის მთელი წლის მუშაობაა თავმოყრილი. მასში ზედმიწევნით ზუსტად არის გადმოცემული ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, ფაქტიურად, ყველა მიმართულება და ძირითადი გამოწვევები, დადებითი და უარყოფითი ტენდენციები. მართალია, ანგარიში მოცულობითი გამოგვივიდა, მაგრამ არც პრობლემებია უმნიშვნელო და იოლად გადასალახი.

წლიური ანგარიშის მოსმენის შემდეგ პარლამენტარებმა პლენარულ სხდომაზე 75 ხმით მიიღეს **ადამიანის უფლებათა დაცვისა და ინტეგრაციის კომიტეტის მიერ წარმოდგენილი დადგენილება,** რითიც ჩვენს მიერ შემუშავებული მთელი რიგი რეკომენდაციები გაიზიარეს.

საგულისხმოა, რომ დადგენილებაში 200–მდე რეკომენდაციაა გათვალისწინებული, რაც წინა წლებთან შედარებით ბევრად გაზრდილი მაჩვენებელია, თუმცა, სამწუხაროდ, მან არ მოიცვა ის უმნიშვნელოვანესი რეკომენდაციები, რომლებიც ზოგიერთი სისტემური ხასიათის მწვავე პრობლემების აღმოფხვრას ისახავს მიზნად. მათ შორის არის რეკომენდაცია შრომის ინსპექტორის შექმნის თაობაზე; არაფერია ნათქვამი ანტიდისკრიმინაციული და „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" საქართველოს კანონების დახვეწაზე, ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის პროექტის დროულ ინიცირებზე, ეკომი-

შინაარსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება 1
2. სახალხო დამცველის საჯარო განცხადებები 4
3. სახალხო დამცველის და სახალხო დამცველის მოადგილეების შეხვედრები და საერთაშორისო ვიზიტები 5
4. სახალხო დამცველის რეკომენდაციები, წინადადებები და დასკვნები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 7
5. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა 8
6. წარმატებული საქმეები 12
7. ღირსშესანიშნავი თარიღები 14
8. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 15
9. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 16

გრანტების შესახებ კანონის მიღებისა და თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების გამკაცრების აუცილებლობაზე. დადგენილებაში არ შესულა რეკომენდაცია საერთო სასამართლოებში საქმის განაწილების ელექტრონული წესის კანონით გათვალისწინების შესახებ. სამწუხაროდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული წესის შემოღებას, პარლამენტმა მხოლოდ ორი მოსმენით მიიღო. შესაბამისად, მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მესამე ტალღის დასრულება დღემდე ჭიანურდება

საქართველოს პარლამენტმა არ გაიზიარა რეკომენდაციები მაღალი თანამდებობის პირთა საქმიანობის ეთიკის ფარგლებში მოქცევის მიზნით, ეთიკის ნორმების და მის აღსრულებაზე უფლებამოსილი მექანიზმისა და გენდერული ნიშნით კვოტირების დროებითი სისტემის შექმნის შესახებ.

მიუხედავად არაერთი მოწოდებისა, დღემდე უცნობია გახმაურებული და საზოგადოებაში მაღალი ინტერესის მქონე სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების შედეგები. დადგენილებაში არ არის გათვალისწინებული რეკომენდაცია პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების ფაქტებზე ეფექტიანი გამოძიების წარმართვის, უმოკლეს ვადებში დამნაშავე პირთა გამოვლენისა და გამოძიების შედეგების გაჟღერების თაობაზე; არ არის გაზიარებული არც რეკომენდაცია დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით, რომელმაც უნდა შეისწავლოს ახალი საკანონმდებლო რეგულაციების შემოღების შემდეგ როგორ გრძელდება ე.წ. „ოდეერების“ ინსტიტუტის გამოყენება, მათ შორის იმ უწყებებში, სადაც მათი მუშაობა კანონით გამოირიცხა. ასევე უყურადღებოდ დარჩა ინიციატივა ლაფანყურის მოვლენების შესახებ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ.

წლებია ვითხოვ თავისუფლების აღკვეთის N7 დაწესებულების დახურვას, პენიტენციურ დაწესებულებებში ვიდეო–მეთვალყურეობის სისტემის მიერ განხორციელებული ჩანაწერების არანაკლებ 10 დღის ვადით შენახვას (ნაცვლად, დადგენილებაში მითითებული 24 საათისა).

მისასალმებელია, რომ საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა რეკომენდაცია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის თაობაზე, თუმცა მის შესრულებაზე პასუხისმგებელი სახელწიფო უწყება დადგენილებაში მითითებული არ არის, შესაბამისად, გაურკვეველია როგორ მოხდება აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების უზრუნველყოფა და მისი მონიტორინგი.

დავამატებდი, რომ მიუხედავად დადგენილებაში ამ საკითხების გაუთვალისწინებლობისა, ეჭვგარეშეა, საქართველოს პარლამენტის თანამშრომლური დამოკიდებულება, სახალხო დამცველის წლიური ანგარიშის განხილვის და მასზე რეაგირების ახალი პრაქტიკა რეკომენდაციათა შესრულების მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას აძლევს ხელს, რაც უდავოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯია ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დაფუძნებული, დემოკრატიული პრინციპების მატარებელი ქვეყნის მშენებლობის საქმეში.

სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენამდე, საქართველოს პარლამენტმა გაეროს შეტყობინების პროცედურის შესახებ ბავშვის უფლებათა კონვენციის მესამე ფაკულტატური ოქმის რატიფიკაცია მოახდინა. ჩვენი აპარატი აქტიურად მონაწილეობდა ამ ოქმის ხელმოწერისა და რატიფიცირების ადვოკატირების პროცესში და მისი რატიფიცირების საკითხი 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც არის ასახული.

ოქმის რატიფიკაცია საშუალებას მისცემს ცალკეულ ბავშვს საჩივარი შეიტანოს მისი უფლებების დარღვევის კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით, რაც ბავშვთა მართლმსაჯულების სისტემებში ეროვნულ დონეზე ხარვეზების აღმოჩენას და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე დამოუკიდებელი უფლებადამცველი ინსტიტუტების გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

ივნისში მორიგი საჯარო დებატები ჩავატარეთ და **კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული გარემოსდაცვითი პრობლემები** განვიხილეთ. ჩვენი აპარატი მიიჩნევს, რომ

მთავარ პრობლემად გარემოზე ზემოქმედების შესახებ კანონში არსებული ხარვეზები და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების დაბალი ჩართულობაა. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებითაც მწვავედ დგას უწყებებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა. ცალკე განხილვის საგანი უნდა გახდეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ წიაღის მოპოვების ლიცენზიის გაცემისას კანონით დადგენილი ვალდებულებების უგულებელყოფა და კულტურული

მემკვიდრეობის საკითხების არგათვალისწინება; აუცილებელია იმ ინფრასტრუქტურული პროექტების სიის გაფართოვებაც, რომელთა განხორციელებისას გარემოზე ზემოქმედების შესახებ დასკვნის წარმოდგენა სავალდებულო გახდება.

იმედის მომცემია, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში უკვე შემუშავებულია კანონპროექტი, რომელშიც სავარაუდოდ აღმოფხვრილია არსებული ხარვეზები და მაქსიმალურად მიახლოებულია საერთაშორისო სტანდარტებს; თუმცა, ვფიქრობ, გაუმჯობესებული კანონიც კი ძალაში შესვლის შემდეგ მუდმივ განვითარებას და პერიოდულ განახლებას საჭიროებს.

მინდა ცალკე გამოვყო საკონსტიტუციო სასამართლოსადმი გაგზავნილი სარჩელი, სადაც **არაკონსტიტუციურად მივიჩნევ ნარკომომხმარებლებისათვის პატიმრობის შეფარდებას.** მოქმედი კანონმდებლობით ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის მოქალაქეს ერთ შემთხვევაში 15 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა, ხოლო განმეორების შემთხვევაში ათას ლარამდე ჯარიმა და ვადით ერთ წლამდე პატიმრობა ეკისრება. ვფიქრობ, სასჯელი არ შეესაბამება ქმედებებისგან მომდინარე საზოგადოებრივ საფრთხეს. ამასთან, საქართველოს კონსტიტუცია ცალსახად აღიარებს ერთი და იგივე დანაშაულისათვის მსჯავრის განმეორებით დაკისრების აკრძალვის პრინციპს. ჩემი ღრმა რწმენით, მართებული იქნება, თუ არსებული რეპრესიული ნარკოპოლიტიკა ჰუმანური ნარკოპოლიტიკით შეიცვლება და მეტი რესურსი იქნება მიმართული არა პიროვნების დასჯაზე, არამედ მის რეაბილიტაციასა და მკურნალობაზე.

ივნისში **ეროვნული უმცირესობების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებელი** მოვიწვიე. მოწვევის წერილში იმ ფაქტორებზე ვისაუბრე, რომელთა არსებობაც ზღუდავს კონსოლიდირებული და საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების შექმნას, შემწყნარებლობას, ტოლერანტობას, მრავალფეროვნებას, უმცირესობათა იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარების შესაძლებლობებს.

იმედი მაქვს, ქალბატონ რიტა იზაკთან წარმატებული თანამშრომლობისა და ვიზიტის შემთხვევაში, მთავრობისა და სხვა პასუხისმგებელი მხარეების რეაგირების ღონისძიებები უფრო ეფექტური გახდება, რაც ქვეყანაში ეროვნულ უმცირესობათა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე აისახება.

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს წლიური ანგარიშიდან **ბავშვის უფლებათა მდგომარეობის თავი** წარმოვადგინეთ და ამ თვალსაზრისით ქვეყანაში არსებულ მრავალ გამოწვევაზე ვისაუბრეთ.

ღონისძიების დასასრულს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) საქართველოს წარმომადგენლობასთან თანამშრომლობის მემორანდუმი გავაფორმეთ, რაც ჩვენი მჭიდრო და ნაყოფიერი ურთიერთობის კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია.

ივნისის თვეში კიდევ რამდენიმე პრეზენტაცია გავმართეთ, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. ასევე წარმოვადგინეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის წლიური ანგარიში, რომელზეც დახურული ტიპის დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე და მათი ეფექტიანი გამოძიებისათვის ისევ და ისევ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობაზე ვისაუბრეთ.

ივნისში მოვამზადეთ სასამართლოს მეგობრის მიმართვები, რითაც იმედი გვაქვს, დადებითი წვლილი შევიტანეთ ქართული სასამართლო სისტემის დახვეწის საქმეში. ყურადღების მიღმა არ დაგვრჩენია ქვეყანაში მიმდინარე განსაკუთრებული ინტერესის მქონე მოვლენები და სპეციალური განცხადებებით დავაფიქსირეთ სახალხო დამცველის პოზიცია ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით. ქვემოთ მოცემულ საინფორმაციო ბიულეტენში შეგიძლიათ იხილოთ ჩვენი აპარატის მიერ ივნისის თვეში გაწეული მუშაობა, მათ შორის წარმატებით დასრულებული ინდივიდუალური საქმეები.

2. სახალხო დამცველის საჯარო განცხადებები

2.1. რუსთავის მერმა სახალხო დამცველის რეკომენდაცია არ გაითვალისწინა

15 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა, რომ რუსთავის მერიამ არ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციაზე“ მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემის თაობაზე.

2013 წლის აპრილში, რუსთავის სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციამ“ შესაბამისი სამართლებრივი პროცედურებით და კანონით გათვალისწინებული პირობების დაცვით, რუსთავის მუნიციპალიტეტისგან მის საკუთრებად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საკულტო ნაგებობის მშენებლობის ნებართვის გამარტივებული წესით გაცემა მოითხოვა. ვინაიდან რუსთავის მუნიციპალიტეტს არანაირი გადაწყვეტილება არ მიუღია, კათოლიკურმა ეკლესიამ სასამართლოს მიმართა, რომელმაც მშენებლობის ნებართვა გაცემულად მიიჩნია. 2015 წელს კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენელმა რუსთავის მერიას მშენებლობის სანებართვო მოწმობის მიღების თხოვნით მიმართა, თუმცა მერიამ შესაბამისი აქტი მაინც არ გამოსცა.

სახალხო დამცველის წარმომადგენელთან შეხვედრისას რუსთავის მერმა აღნიშნა, რომ ეკლესიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი ისეთ ზონაში მდებარეობდა, სადაც მიმდინარე დროისთვის საკულტო ნაგებობის მშენებლობა საერთოდ დაუშვებელი იყო. როგორც გაირკვა, მერის მიერ მოწოდებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდა. სამწუხაროდ, კათოლიკური ეკლესიის მრევლის რელიგიის თავისუფლების ეფექტური რეალიზაცია ამ დროისათვის ისევ ვერ ხერხდება და დროში ჭიანურდება.

2.2. განცხადება ტელეკომპანია „მაესტროს“ მიერ საიას სოციალური რეკლამის ეთერში განთავსებაზე უარის შესახებ

18 ივნისი. საქართველოს სახალხო დამცველმა უარყოფითად შეაფასა ტელეკომპანია „მაესტროს“ მიერ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისთვის სოციალური რეკლამის ეთერში განთავსებაზე უარი, რომელიც ტელეკომპანიის წერილის თანახმად, განპირობებული იყო „მაესტროსა“ და საიას შორის ბოლო დროს განვითარებული მოვლენებით.

სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ საია-ს მიერ გამოთქმული მოსაზრების გამო, კანონით გარანტირებული უფლებით სარგებლობაზე უარი წარმოადგენს განსხვავებულ მოპყრობას განსხვავებული აზრის ნიშნით და მოუწოდა ტელეკომპანია „მაესტროს“, აღმოფხვრას დისკრიმინაციული მიდგომა და კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესაბამისად, განათავსოს ეთერში საიას მიერ მომზადებული სოციალური რეკლამა.

2.3. განცხადება „რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებით

სახალხო დამცველმა არაკანონიერად მიიჩნია **22 ივნისს** თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ტელეკომპანია „რუსთავი 2–ის“ საქმესთან დაკავშირებული 10 ივნისს გამოცხადებული გადაწყვეტილების მხარეებისთვის გაგზავნა და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო საკასაციო საჩივრის განხილვისას თბილისის სააპელაციო სასამართლოს ქმედებას შესაბამის შეფასებას მისცემს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ცალსახად ადგენს, რომ *„გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.“*

ტელეკომპანია „რუსთავი 2–ის“ მხარე ვალდებული იყო სასამართლოში გამოცხადებულიყო 30 ივნისიდან 10 ივლისის პერიოდში და თვითონ მიეღო გადაწყვეტილების ასლი. ხოლო, თუ ამ ვადაში მხარე არ გამოცხადდებოდა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების 21–დღიანი ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში 10 ივლისიდან დაიწყებოდა.

სასამართლო რაიმე ფინანსურ რესურსს სამოქალაქო დავებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების

ჩასაბარებლად არ გამოყოფს, გარდა ორი საგამონაკლისო შემთხვევისა, როდესაც გადაწყვეტილება ეგზავნებათ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლებულ პირებსა და პატიმრობაში მყოფ იმ პირებს, რომლებსაც არ ყავთ წარმომადგენელი.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოცხადებიდან მე–12 დღეს მხარისათვის გაგზავნა და ჩაბარება, არ შეესაბამება კანონს. დაუშვებელია სასამართლომ თავისი ქმედებებითა და გადაწყვეტილებებით შექმნას შერჩევითი მართლმსაჯულების განცდა, ამოიკითხოს საკუთარი უფლებამოსილება კანონს მიღმა და გამოიყენოს ის სელექციურად და დაუსაბუთებლად.

კანონის თანახმად, მხარე თავად წყვეტს როგორია მისი დაცვის სტრატეგია, პირველივე შესაძლებლობისთანავე გამოცხადდეს სასამართლოში გადაწყვეტილების ჩასაბარებლად თუ არა, ვადის პირველივე დღეს წარადგენს საკასაციო საჩივარს თუ ბოლო დღეს. დაუშვებელია მხარის ამ არჩევანში სასამართლოს ჩარევა და მხარის ნების ჩანაცვლება სასამართლოს მიერ გამოხატული ნებით.

2.4. განცხადება პოლიციის მიერ ბათუმში საპროტესტო აქციის დაშლასთან დაკავშირებით

22 ივნისს პოლიციის მიერ ბათუმში მიმდინარე საპროტესტო აქციის დაშლასა და რამდენიმე მონაწილეს დაკავებას აჭარაში სახალხო დამცველის წარმომადგენლები ადევნებდნენ თვალს. ბათუმის საკრებულოსთან შეკრებილი გონიოს მოსახლეობა მიწის ნაკვეთებზე 2010 წელს გაუქმებული საკუთრების უფლების აღდგენას ითხოვდნენ. წინააღმდეგობა ბათუმის საკრებულოს მიმდებარე სკვერში კარვების გამართვისა და შიმშილობის გამოცხადების მცდელობას მოყვა.

ფაქტების შესწავლის შედეგად სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მოქმედებები გავიდა სამართლებრივი რეგულაციის სივრციდან. პოლიციამ დაარღვია აქციის მონაწილეთა შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება, გამოხატვის თავისუფლება.

სახალხო დამცველმა კიდევ ერთხელ შეახსენა სამართალდამცავ ორგანოებს, რომ საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ აღიარებული შეკრებისა და მანიფესტაციების, ასევე გამოხატვის თავისუფლების დაცვის უპირველესი გარანტი საქართველოს კონსტიტუციაა. კონსტიტუცია პირებს საჯაროდ შეკრების უფლებას ყოველგვარი წინასწარი თანხმობის გარეშე ანიჭებს, თუკი შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას არ იმართება. შეკრების ან მანიფესტაციის დაშლა კი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

3. სახალხო დამცველის და სახალხო დამცველის მოადგილეების შეხვედრები და საერთაშორისო ვიზიტები

3.1. შეხვედრა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრთან

8 ივნისს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი და სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრები საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს კახა კახიშვილს შეხვდნენ.

შეხვედრაზე საბჭოს წევრები გაეცნენ პენიტენციურ სისტემაში სამინისტროს მიერ განხორციელებულ ცვლილებებს; კერძოდ, ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმებს, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების მიმართ განხორციელებულ და დაგეგმილ საქმიანობას. ისაუბრეს ეროვნული და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების რელიგიის თავისუფლების უზრუნველსაყოფად არსებულ პირობებზე.

3.2. შეხვედრა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრთან

15 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველი და სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს მიხეილ გიორგაძეს შეხვდნენ.

შეხვედრაზე განიხილეს 2015-2016 წლებში ეროვნულ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნებისა და განვითარების საკითხების შესახებ კულტურის სამინისტროს საქმიანობის ანგარიში.

მათ შორის, მუზეუმების მხარდაჭერის პროგრამები და პროექტები, ახალგაზრდებისთვის აზერბაიჯანული ხალიჩების ქსოვის შემსწავლელი კურსი, ოსი პოეტების კრებულების გამოცემა, ოსური კლასიკური მუსიკის საღამო და სხვა.

ისაუბრეს თბილისის სომხური და აზერბაიჯანული თეატრების რეაბილიტაციის საკითხებზე, მოსაზრებები გამოთქვეს ეროვნული უმცირესობების მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და პოპულარიზების, შემოქმედებითი ჯგუფებისა და ანსამბლების მხარდაჭერის, რეგიონებში ინფორმაციის უფრო აქტიურად გავრცელებასთან დაკავშირებით სამინისტროს საგრანტო კონკურსების შესახებ.

3.3. შეხვედრა სამოქალაქო სექტორთან ქვეყანაში არსებულ ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით

16 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველი მოძრაობა „თეთრი ხმაურის“ და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის წარმომადგენლებს შეხვდა და მრგვალი მაგიდის ფარგლებში, სახალხო დამცველის აპარატის მიერ ნარკოპოლიტიკის თვალსაზრისით გაწეულ საქმიანობაზე ისაუბრა; ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი ის ორი სარჩელი განიხილა, რომლებიც ნარკოტესტირებასა და ნარკომომხმარებლების მიმართ პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მანკიერი პრაქტიკის შეცვლას ისახავს მიზნად.

3.4. აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის დემოკრატიის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

21 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილემ ნათია კაციტაძემ აშშ–საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის დემოკრატიის სამუშაო ჯგუფის რიგით მე–9 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, სადაც მიმდინარე თუ განხორციელებული დემოკრატიული რეფორმები, რეფორმების ფარგლებში მიღწეული პროგრესი და ქვეყნისთვის აქტუალური არაერთი საკითხი განიხილეს.

სახალხო დამცველის მოადგილემ შეხვედრის მონაწილეებთან დეტალურად ისაუბრა ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის იმპლემენტაციის პროცესზე და სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების რაოდენობასა და შინაარსზე; შეეხო როგორც დადებით განვითარებებს, ასევე იმ ხარვეზებს, რომლებიც დაუყოვნებლივ და ქმედებებზე ორიენტირებულ რეაგირებას საჭიროებს.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ საუბრისას ნათია კაციტაძემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ციხეებსა და პოლიციაში ვიდეო ჩანაწერების მცირე ვადით შენახვისა და სახალხო დამცველისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის ვიდეო ჩანაწერებზე წვდომის სირთულეებს, რაც აფერხებს სახალხო დამცველის ეფექტიან საქმიანობას.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა აქტუალურ გამოწვევებზე, მათ შორის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების დოკუმენტირებასა და გამოძიებაზე, ეფექტიანი შრომის ინსპექციის ჩამოყალიბებაზე და ა.შ.

3.5. შეხვედრა აფხაზური უფლებადაცვითი ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან

29 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში ევროსაბჭოს ეგიდით ქართველი და აფხაზი უფლებადაცვითი ინსტიტუტების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მესამე შეხვედრა ჩატარდა. შეხვედრის მიზანია თბილისისა და სოხუმის სამოქალაქო საზოგადოებებსა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე პროფესიონალებს შორის კონტაქტების წახალისება, თანამშრომლობის გაღრმავება და უფლებების დაცვის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება.

მონაწილეებმა საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად, ევროპული ქვეყნების მაგალითზე განიხილეს რეგიონულ და უმცირესობის ენებზე სასკოლო განათლებისა და პოსტ-კონფლიქტურ რეგიონებში საკუთრების უფლების საკითხები; დასასრულს შეთანხმდნენ კონკრეტულ ნაბიჯებზე, რომლებიც დაეხმარება ამ სფეროებში არსებული პრობლემების გადაწყვეტას.

4. სახალხო დამცველის რეკომენდაციები, წინადადებები და დასკვნები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

4.1. სასამართლოს მეგობრის მოსაზრება თბილისის სააპელაციო სასამართლოს

3 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს დევნილის სტატუსით მოსარგებლე პირის წერილობითი თანხმობის გარეშე საცხოვრებლით უზრუნველყოფის საქმესთან დაკავშირებით.

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რომელიც სახელმწიფოს მიერ დევნილთათვის საცხოვრებელი ფართების კერძო საკუთრებაში გადაცემისას იკვეთება, არის ინფორმაციის ნაკლებობა იმ გარემოებების შესახებ, რომლებმაც, შესაძლოა, გამოიწვიოს მესამე პირთა უფლებების შეზღუდვა ან მათთვის რაიმე ვალდებულების დაკისრება. იძულებით გადაადგილებული მესამე პირი, რომელიც ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას არ ცხოვრობს მყიდველის საკუთრებაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართში (უძრავი ქონების ფაქტობრივი მფლობელი არ არის) და საცხოვრებლით უზრუნველყოფისას არ აქვს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისა და არჩევანის შესაძლებლობა, სახელმწიფოს მხრიდან მოკლებულია საცხოვრებლით უზრუნველყოფის უფლებას. სახალხო დამცველი თავის ანგარიშებში მრავალგზის მიუთითებდა უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით, დევნილთა ინფორმირებულობის დაბალ ხარისხზე.

4.2. სასამართლოს მეგობრის მოსაზრება რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით

19 მაისს სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით (Amicus Curiae) მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს შრომით წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით, დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებში მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხსა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას თანასწორობის უფლების დაცვის მნიშვნელობაზე.

მოქალაქე თ.მ. აცხადებდა, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტის მოხის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის პოზიციაზე შერჩევისას იგი საკონკურსო კომისიის მხრიდან რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლი გახდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, თ.მ.-მ ახალციხის რაიონულ სასამართლოს მიმართა სარჩელით. ახალციხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით დისკრიმინაციის ფაქტი არ დადგინდა.

სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში სახალხო დამცველმა მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მართალია, საკონკურსო-საატესტაციო კომისიას ჰქონდა დისკრეციული უფლებამოსილება, შეეფასებინა კონკურსანტთა შესაბამისობა დასაკავებელ თანამდებობასთან, თუმცა, აღნიშნული არ ათავისუფლებს ამ უკანასკნელს დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილების მოტივაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს, როგორც უმნიშვნელოვანესი უფლებადაცვითი მექანიზმის ფუნქცია აზრს კარგავს. სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში სახალხო დამცველმა ასევე აღნიშნა, რომ აპელანტმა უნდა წარმოშვას ვარაუდი, რომ მას შეეზღუდა სამუშაოზე ხელმისაწვდომობის უფლება მისი რელიგიური შეხედულების გამო. თავის მხრივ, მოპასუხე მხარემ უნდა ამტკიცოს, რომ მისი გადაწყვეტილება არ იყო რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციული მოტივით განპირობებული და ეფუძნებოდა მხოლოდ ობიექტურ კრიტერიუმებს.

4.3. დასკვნა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს

21 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველმა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარისა და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის მამუკა ახვლედიანის თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერების შესახებ დასკვნა წარუდგინა.

საქმის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიყენა კანონით განსაზღვრული დისციპლინური წარმოების პროცედურა; დისციპლინური საქმე არ განუხილავთ და მასზე გადაწყვეტილება არ მიუღიათ სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ ორგანოებს, არ იქნა დაცული მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები, ვერ მოხდა აცილების უფლების რეალიზება და სხვა. აღსანიშნავია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის გვერდის ავლით მსგავსი გადაწყვეტილების მიღების პრეცედენტს ამ დრომდე ადგილი არ ჰქონია.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება კანონშეუსაბამოა და იმედი აქვს, რომ ასეთ პრაქტიკას მომავალში ადგილი არ ექნება.

4.4. რეკომენდაცია თბილისის მერს

27 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა თბილისის მერს, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლების დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უმოქმედობითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობით წლების განმავლობაში არ მომხდარა თბილისში, გონაშვილის ქუჩაზე დაზიანებული გზის საფარის რეაბილიტაცია, რაც ზიანს აყენებს მოქალაქეთა საცხოვრებელ პირობებს და ლახავს მათ უფლებებს.

საქართველოს სახალხო დამცველმა გზის საფარის აღდგენა და განმცხადებლის საკუთრებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხის განხილვა მოითხოვა.

5. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა

5.1. გლობალური ფორუმი საქმიანი ქცევის შესახებ

8-9 ივნისს სახალხო დამცველის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსი ნიკო თათულაშვილი პარიზში გამართულ საქმიანი ქცევის შესახებ მეოთხე გლობალურ ფორუმს დაესწრო.

ღონისძიებაზე ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ საერთაშორისო კომპანიებისათვის ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, საქმიანი ქცევის მდგომარეობა განიხილეს.

ფორუმის ფარგლებში ნიკო თათულაშვილი გაეროს ბიზნესისა და ადმიანის უფლებების წარმომადგენლებსა და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსის (GANNHRI) ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სამუშაო ჯგუფების წევრებს შეხვდა და სამომავლო თანამშრომლობაზე ისაუბრა. მიმდინარე წლის ოქტომბერში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ორგანიზებით გაიმართება კონფერენცია თემაზე: ბიზნესი და ადამიანის უფლებები.

* გლობალური ფორუმი გაიხსნა 2013 წელს, საქმიანი ქცევის შესახებ საერთაშორისო დიალოგის ხელშეწყობის მიზნით. იგი ყოველწლიურად ხელისუფლებების, ბიზნესების, პროფკავშირების და სამოქალაქო საზოგადოებების 750-დე წარმომადგენელს უყრის თავს.

5.2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა

13 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა სამთავრობო უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშის თავი წარუდგინა, ანგარიშში ხაზგასმულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზების მიმართულებით არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევები. ერთ–ერთ უმთავრეს პრობლემას „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის სათანადო იმპლემენტაციის, ასევე კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირების საკითხი წარმოადგენს. ფართოდ არის მიმოხილული შშმ პირთათვის ფიზიკური გარემოს, სატრანსპორტო საშუალებების და საგზაო ინფრასტრუქტურის მისაწვდომობის კუთხით არსებული მდგომარეობა. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება მისაწვდომობის საკანონმდებლო რეგულაციების მნიშვნელოვან ხარვეზებზე, რაც აღსრულებისა და ზედამხედველობის მექანიზმის არარსებობას უკავშირდება.

სახელმწიფოს წინაშე მდგარ ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად კვლავაც სახელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა, სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზება და დასაქმება. სახელმწიფოს არ აქვს შემუშავებული ამ პირთა დასაქმების პოლიტიკა, შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო და პროგრამები, რაც ხელს უშლის მათ დამოუკიდებელ ცხოვრებასა და საზოგადოებაში ინკლუზიას. ასევე პრობ-

ლემად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის უფლების სრულფასოვანი რეალიზება; მწვავეა შშმ პირთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის საკითხი; ხარვეზებით ხორციელდება ინკლუზიური საგანმანათლებლო პროცესი - გამოწვევად რჩება სწავლების ხარისხი და უწყვეტობა.

5.3. ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების შესახებ სამართლის სპეციალისტების განათლების პლატფორმის წლიური კონფერენცია

16-17 ივნისს საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში გაიმართა ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების შესახებ იურისტების განათლების (HELP) პლატფორმის წლიური კონფერენცია თემაზე - „ეროვნული პრეცედენტული სამართლის ჰარმონიზების გზები“. ღონისძიებაში, ევროსაბჭოს მიწვევით, მონაწილეობა მიიღეს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის უფროსმა მედეა გუგეშაშვილმა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული „სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის მხარდაჭერის“ პროექტის ხელმძღვანელმა ეკატერინე დათუნაშვილმა.

კონფერენციაზე განიხილეს ეროვნული სასამართლოების მიერ ევროპული პრეცედენტული სამართლის თანმიმდევრული და ჰარმონიზებული გამოყენების თაობაზე სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო გამოცდილება, HELP პროგრამის ფარგლებში სწავლებათა მეთოდოლოგიური ასპექტები, სამომავლო ტრენინგების თემატიკა და მასალების ხელმისაწვდომობის საკითხები.

გაიმართა შეხვედრა HELP-ის სამდივნოს ხელმძღვანელთან ნატაშა დე რუკთან და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის ადამიანის უფლებების ეროვნულ დონეზე განხორციელების განყოფილების პროექტის კოორდინატორთან მაჰირ მუშტეიდზადასთან. შეხვედრაზე შეთანხმდნენ სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის HELP პროგრამაში ჩართვის თაობაზე, რისი მეშვეობითაც აკადემია განახორციელებს ტრენინგებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის.

5.4. შეხვედრა ქუთაისში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ადვოკატებთან

17 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები ქუთაისში ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ადვოკატებს შეხვდნენ. შეხვედრა მიზნად ისახავდა პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებისა და დაკავებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღებასა და გაზიარებას. ასევე განიხილეს კონკრეტული საქმეები, ადვოკატის ხელმისაწვდომობისა და დაკავებულის დაკითხვის პროცედურების დარღვევის შემთხვევები.

5.5. ომბუდსმენთა საერთაშორისო ინსტიტუტის სამუშაო შეხვედრა პრევენციის ეროვნული მექანიზმებისათვის

21-23 ივნისს, ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში, ომბუდსმენთა საერთაშორისო ინსტიტუტის ორგანიზებითა და წამების პრევენციის ასოციაციასთან თანამშრომლობით გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე „ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგი“. შეხვედრის მიზანი იყო ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგთან დაკავშირებით პრევენციის ეროვნული მექანიზმების გამოცდილების გაზიარება, საუკეთესო პრაქტიკის ანალიზი, სხვადასხვა რისკ-ფაქტორების გამოვლენა და ამ თვალსაზრისით არსებული გამოწვევების დაძლევისათვის აუცილებელი უნარებისა და მეთოდების შესწავლა. სამუშაო შეხვედრის ფარგლებში ასევე განხორციელდა სასწავლო ვიზიტი როკიშკისის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

სამდღიან სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლები ევროპის 17 ქვეყნიდან. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ნიკა კვარაცხელია და ამავე დეპარტამენტის მკვლევარ-ანალიტიკოსი აკაკი კუხალეიშვილი.

შეხვედრას მასპინძლობდა ლიტვის ომბუდსმენის ოფისი. აქტივობებს უძღვებოდნენ წამების პრევენციის ასოციაციის ექსპერტები. ღონისძიებაში ჩართულნი იყვნენ სამედიცინო და ფსიქიატრიის დარგის ექსპერტები, მათ შორის გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის ექსპერტი, რომლებიც მონაწილეებს თავიანთ გამოცდილებას უზიარებდნენ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა სამუშაო შეხვედრის მონაწილეებს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის გამოცდილება გაუზიარეს და ექსპერტების მხრიდან მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

5.6. სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის ტრენინგი თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებისთვის

21-24 ივნისს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიამ ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული „სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის მხარდაჭერა“ პროექტის ფარგლებში თავდაცვის სამინისტროს 25 სამხედრო პირს და იურისტს ტრენინგი ჩაუტარა თემაზე „ადამიანის უფლებები სამხედრო სამსახურში“.

ტრენინგს გაუძღვნენ ჩეხეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ყოფილი სამხედრო ომბუდსმენი, სამართლებრივი ექსპერტი ზორან ნერანდზიჩი და თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებში სამოქალაქო საბჭოს წევრი თამარ პატარაია.

5.7. „სასამართლოს მეგობარი“, როგორც ეფექტური სახელმძღვანელო მექანიზმი ადამიანის უფლებათა საკითხებზე ეროვნული სასამართლოებისთვის

23 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა და ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისმა კონფერენცია გამართეს თემაზე „სასამართლოს მეგობარი“, როგორც ეფექტური სახელმძღვანელო მექანიზმი ადამიანის უფლებათა საკითხებზე ეროვნული სასამართლოებისთვის.

კონფერენციაზე მოხსენებით გამოსვლისას საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა სახალხო დამცველის ოფისის მიერ სასამართლოს მეგობრის ინსტრუმენტის გამოყენებისას არსებული გამოწვევები და გამოცდილება განიხილა; ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს წინაშე მესამე მხარის ინტერვენცია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს მოსამართლემ საქართველოს მხრიდან ნონა წოწორიამ წარმოადგინა; სასამართლოს მეგობრის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში განხორციელების შესახებ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ღალი ფაფიაშვილმა ისაუბრა.

5.8. პრევენციის ეროვნული მექანიზმის წლიური ანგარიშის პრეზენტაცია

24 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა სამთავრობო უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წლიური ანგარიში წარუდგინა, რომელშიც დახურული ტიპის დაწესებულებებში ადამიანის უფლებების კუთხით არსებული მდგომარეობაა ასახული.

ღონისძიება გაიმართა წამების მსხვერპლთა დახმარების საერთაშორისო დღესთან და წამების წინააღმდეგ გაეროს კონვენციის დამატებითი ოქმის (OPCAT) ძალაში შესვლის 10 წლისთავთან დაკავშირებით.

პრეზენტაციაზე ხაზი გაუსვეს დახურული ტიპის დაწესებულებებში არსებულ პრობლემებს, მათ შორის პენიტენციურ სისტემაში არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი გამოძიებისათვის დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობას, რომლის შესახებაც საქართველოს სახალხო დამცველი არაერთხელ საუბრობდა თავის რეკომენდაციებში; ასევე, პატიმართა შორის ძალადობისა და კრიმინალური სუბკულტურის არსებობის ფაქტებს; უსაფრთხოებასთან, პერსონალის გადამზადებასთან, არასათანადო ფიზიკურ გარემოსთან, სანიტარულ ჰიგიენურ მდგომარეობასთან, დისციპლინურ სახდელებთან და გარე სამყაროსთან კონტაქტთან დაკავშირებულ საკითხებს.

საქართველოს სახალხო დამცველმა უარყოფითად შეაფასა შსს-ს დაქვემდებარებულ ორგანოებში ადამიანის უფლებების კუთხით არსებული მდგომარეობა და აღნიშნა, რომ პოლიციის მხრიდან მოქალაქეთა წინააღმდეგ ფიზიკური თუ სხვა სახის ძალადობის მხრივ სიტუაცია გაუარესებულია; არასაკმარისია ფინანსური სახსრები, ადამიანური რესურსი და პერსონალის კვალიფიკაცია; საგანგაშოა ზოგიერთ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არსებული ფიზიკური გარემო და პაციენტებზე ძალადობის სხვადასხვა ფორმები. ცალკე გამოყო ხანდაზმულთა უფლებრივი მდგომარეობა.

5.9. სამუშაო შეხვედრა თემაზე „შესაძლებლობების გაზრდა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორებისათვის“

28-29 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა აკაკი კუხალეიშვილმა და ლევან ბეგიაშვილმა მონაწილეობა მიიღეს პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში გამართულ სამუშაო შეხვედრაში თემაზე – „შესაძლებლობების გაზრდა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორებისათვის“. შეხვედრის მიზანი იყო მონიტორინგის მექანიზმების გაუმჯობესება და ადამიანის უფლებების ეფექტური დაცვის უზრუნველყოფა მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივ ოპერაციებში.

სამუშაო შეხვედრაში აგრეთვე მონაწილეობდნენ ევროკავშირის ომბუდსმენის ოფისის წარმომადგენლები, „ფრონტექსის“ საკონსულტაციო ფორუმის დელეგატები ფუნდამენტურ უფლებებთან დაკავშირებით, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ექსპერტი და საერთაშორისო მიგრაციის პოლიტიკის ცენტრის წარმომადგენლები, რომლებმაც მონაწილეებს თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს და კოორდინაცია გაუწიეს სხვადასხვა ჯგუფებში მიმდინარე განხილვებს.

შეხვედრა ევროკავშირის სახელმწიფოთა გარე საზღვრების მართვის ოპერატიული თანამშრომლობის ევროპული სააგენტო „ფრონტექსის“ ორგანიზებითა და ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტოსთან თანამშრომლობით გაიმართა.

რეგიონული დეპარტამენტის პერიოდული საქმიანობა

სახალხო დამცველის აპარატის იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმის სამმართველოს აქტივობა

5.10. მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მცხოვრები ოჯახი

14 ივნისს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამანეტის იმერეთის, რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს უფროსმა მადონა ბასილაძემ სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩხერის რაიონული განყოფილების სოციალურ მუშაკთან და World Vision Georgia–ს ქუთაისის ოფისის წარმომადგენელთან ერთად საჩხერის მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ სოფელში რთულ სოციალურ–ეკონომიკურ პირობებში მცხოვრები ოჯახი მოინახულა.

ექვს სულიანი ოჯახის საცხოვრებელი სახლი ამორტიზირებულია და რეაბილიტაციას არ ექვემდებარება; შემოსავლის წყაროს სოციალური შემწეობა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პენსია წარმოადგენს, რომელიც საკვებისა და საჭირო მედიკამენტების შესაძენადაც კი არ არის საკმარისი.

ოჯახის რთული სოციალურ–ეკონომიკური პირობები მადონა ბასილაძემ სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩხერის რაიონული განყოფილებისა და საჩხერის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან განიხილა. მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებმა გამოხატეს მზაობა, მუნიციპალიტეტის გამგეობის კომპეტენციისა და ბიუჯეტის ფარგლებში, დახმარება აღმოუჩინონ გაჭირვებულ ოჯახს საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

სახალხო დამცველის აპარატის აჭარის სამმართველოს აქტივობა

5.11. აჭარის სამმართველომ პოლიციის განყოფილებებისა და წინასწარი დაკავების იზოლატორების მონიტორინგი დაიწყო

სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის აჭარის სამმართველომ **ივნისის თვიდან** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული პოლიციის სამმართველოების, განყოფილებებისა და დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგი დაიწყო. მონიტორინგის მიზანია დაკავებული პირების უფლებათა დარღვევის ფაქტების იდენტიფიცირება.

მონიტორინგის ფარგლებში აპარატის თანამშრომლები ხვდებიან დაკავებულ პირებს, იღებენ

ინფორმაციას მათი პრეტენზიის შესახებ, ავლენენ პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების შემთხვევებს და დაკავებული პირების შესახებ არსებულ დოკუმენტაციას.

სახალხო დამცველის აპარატის სამეგრელო, ზემო-სვანეთის სამმართველოს აქტივობა

5.12. სამეგრელო ზემო-სვანეთის სამმართველოს ოფისის ორგანიზებით საჯარო ლექცია ჩატარდა

20 ივნისს რეგიონული დეპარტამენტის სამეგრელო–ზემო სვანეთის სამმართველოს უფროსმა ლევან პაპავამ რეგიონული სამმართველოს ოფისში სტუდენტებს, ჟურნალისტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს საჯარო ლექცია წაუკითხა წინასაარჩევნო კამპანიის მომწესრიგებელი სამართლებრივ ნორმების შესახებ.

ლევან პაპავამ შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია ადმინისტრაციული რესურსის, თანამდებობრივი და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების, ამომრჩევლის მოსყიდვის აკრძალვისა და კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ; ისაუბრა საარჩევნო კანონმდებლობის და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებისა, ასევე, საარჩევნო სუბიექტების თანაბარი უფლებებითა და თანაბარი ვალდებულებებით სარგებლობის საკითხზე; არჩევნების სამართლიან, მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ჩატარების მნიშვნელობასა და წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის აუცილებლობაზე.

მსმენელებს განუმარტა სახალხო დამცველის უფლებამოსილება, საქმიანობის ძირითადი პრინციპები, პროცედურები, შესაძლო შედეგები. განიხილა მოქალაქეების მიმართვიანობის შედეგად გამოკვეთილი ტენდეციები.

სახალხო დამცველის აპარატის კახეთის სამმართველოს აქტივობა

5.13. შეხვედრა კაბალის თემის ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლებთან

10 ივნისს სახალხო დამცველის საკონტაქტო პირი ლაგოდეხში ეკა გოგაშვილი სოფელ კაბალის საზოგადოებრივ ცენტრში სოფლების კაბალის, ყარაჯალას, უზუნთალასა და განჯალას „ახალგაზრდული ცენტრისა“ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შეხვდა.

ეკა გოგაშვილმა ახალგაზრდებს გააცნო სახალხო დამცველის მანდატი, ისაუბრა ეროვნული უმცირესობების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებზე, ასევე ადრეულ ასაკში ქორწინების გამოწვევებსა და ამ პრობლემის გადაჭრის გზებზე.

შეხვედრის დასასრულს მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მსგავსი სახის საინფორმაციო შეხვედრები აუცილებელია ადამიანის უფლებების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად.

5.14. საჯარო დისკუსია წინასაარჩევნო გარემოს შესახებ

22 ივნისს, თელავში, არასამთავრობო ორგანიზაციის „ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის“ მიერ წინასაარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით ორგანიზებულ საჯარო დისკუსიაზე სახალხო დამცველის აპარატის კახეთის რეგიონული ოფისის წარმომადგენელმა ნათია ფიცხელაურმა წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების შემდგომ პროცესებში სახალხო დამცველის როლზე, მის მანდატსა და მნიშვნელობა ისაუბრა; ასევე მიაწოდა ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატის ცხელი ხაზის მუშაობასთან დაკავშირებით.

5.15. ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი დისკუსია

24 ივნისს სახალხო დამცველის წარმომადგენელმა ნათია ფიცხელაურმა საგარეჯოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის პოზიცია წარმოადგინა და 2014-2015 წლებში სამართალდამცავი ორგანოების მიერ ნარკოლოგიური შემოწმების მიზნით მოქალაქეთა დაკავების კანონიერების შესახებ ქუთაისის რეგიონში სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები განიხილა.

6. წარმატებული საქმეები

6.1. სამედიცინო მომსახურების დაბალი ხარისხისა და ჯანმრთელობის უფლების სავარაუდო შეზღუდვის შესახებ

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ნ.თ.–ს განცხადება, მისთვის გაწეული სამედიცინო

მომსახურების ხარისხისა და ჯანმრთელობის უფლების სავარაუდო შეზღუდვის შესახებ. განმცხადებელი მოითხოვდა მკურნალი ექიმების პროფესიული საქმიანობის შესწავლასა და შეფასებას. საკითხი რამდენჯერმე განიხილა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებულმა პროფესიული განვითარების საბჭომ, თუმცა განმცხადებელს არ მიეცა სხდომაზე დასწრების საშუალება.

2 ივნისს პროფესიული განვითარების საბჭომ, სახალხო დამცველის აპარატის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, ახალი გარემოებების გამოვლენის გამო, სახალხო დამცველის წარმომადგენლების თანდასწრებით, განმეორებით განიხილა პაციენტ ნ.თ.-ს საჩივარი და მკურნალი ექიმის მიმართ პროფესიული პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო.

6.2. საქართველოს მთავრობამ სახალხო დამცველის რეკომენდაცია გაითვალისწინა

3 ივნისს სახალხო დამცველს მთავრობის ადმინისტრაციიდან შეატყობინეს, რომ საქართველოს მთავრობა ეთანხმება სახალხო დამცველის რეკომენდაციას გაერთიანების წევრობის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენასთან დაკავშირებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მუშაობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციების დახვეწაზე.

სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისად, იგეგმება ყველა სტუდენტი, გაერთიანებისადმი კუთვნილების მიუხედავად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პროცესში მონაწილეობის უფლებით საკანონმდებლო დონეზე იყოს უზრუნველყოფილი.

6.3. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სახალხო დამცველის რეკომენდაცია გაითვალისწინა

6 ივნისს სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს უპრეცედენტო გადაწყვეტილებით, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული გიორგი გელაძე პატიმრობიდან გათავისუფლდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მსჯავრდებულის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისას განმარტა, რომ ვინაიდან გიორგი გელაძეს მიერ დანაშაულის ჩადენისას მოქმედი კანონმდებლობა სანქციის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთას არ ითვალისწინებდა, მას უნდა შეეცვალოს უვადო თავისუფლების აღკვეთა ვადიანი თავისუფლების აღკვეთით“, რაც სრულ თანხვედრაშია **სახალხო დამცველის რეკომენდაციასთან.**

საქართველოს სახალხო დამცველმა მსჯავრდებულის მიმართ კანონის უკუძალის აკრძალვის პრინციპის დარღვევის გამო წინადადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს.

6.4. ოჯახს სოციალური დახმარება აღუდგა

სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე, სოციალური მომსახურების სააგენტოს ლაგოდეხის რაიონულმა განყოფილებამ გადაამოწმა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მ.კ.-ს ოჯახის სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობა და დაუნიშნა სოციალური დახმარება 300 ლარის ოდენობით.

მ.კ.-ს ოჯახი საარსებო შემწეობას 2015 წლის ოქტომბრის თვემდე იღებდა, განმეორებითი გადამოწმების შედეგად დაანგარიშებული მაღალი სარეიტინგო ქულის გამო ერთადერთი შემოსავლის წყაროს გარეშე დარჩა.

6.5. მოქალაქე კუთვნილ სოციალურ პაკეტს მიიღებს

14 ივნისს სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა, რომ ივლისის თვიდან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს სოციალური პაკეტის გაცემა განუახლდება და მისი შეჩერების დღიდან მიუღებელი თანხა აუნაზღაურდება.

ვ.ბ.–ს სოციალურ პაკეტი 25 წლის შემდეგ, საპენსიო საქმეში არსებულ სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტზე ბეჭდისა და ნომრის უქონლობის მიზეზით, 2015 წლის იანვრიდან შეუჩერდა. მოქალაქე პრობლემის მოგვარებაში დახმარებას ითხოვდა.

სახალხო დამცველის აპარატმა საქმის შესწავლის მიზნით, წერილით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ლაგოდეხის რაიონულ განყოფილებას.

6.6. შპს „კრედომ“ ორსულობის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ სახალხო დამცველის რეკომენდაცია შეასრულა

20 ივნისს სახალხო დამცველს შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედოდან“ წერილობით შეატყობინეს, რომ ორსულობის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ **სახალხო დამცვ-**

ელის რეკომენდაციის საფუძველზე, განმცხადებელი აღადგინეს სამსახურში და გაუფორმეს უვადო შრომითი ხელშეკრულება განვადების ოფიცრის პოზიციაზე, რომლის შესრულებასაც ა.ა. დეკრეტული შვებულების გასვლის შემდეგ შეუდგება. ასევე, განმცხადებელს სრულად აუნაზღაურდა მკურნალობისთვის გაწეული ხარჯები და განაცდური ხელფასი. ამასთან, შპს „კრედოს“ დირექტორის ბრძანების საფუძველზე, გაუქმდა განმცხადებლისთვის წერილობით გამოცხადებული გაფრთხილება.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან განმცხადებელმა შპს „კრედოს“ წერილში მითითებული ფაქტები დაადასტურა.

სახალხო დამცველი მიესალმება შპს „კრედოს“ მიერ რეკომენდაციის შესრულებას და იმედს გამოთქვამს, რომ მომავალშიც ექნება შესაძლებლობა, დისკრიმინაციის აღმოფხვრის საკითხებზე ითანამშრომლოს კერძო სექტორთან.

7. ღირსშესანიშნავი თარიღები

7.1. ბავშვთა დაცვის დღე

1 ივნისს სახალხო დამცველის აპარატის იმერეთის რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს უფროსმა მადონა ბასილაძემ, World Vision Georgia–ს იმერეთის სამხარეო განვითარების პროგრამის ფარგლებში, ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბავშვებსა და მათ მშობლებს ბავშვთა დაცვის საერთაშორის დღე მიულოცა და სახალხო დამცველის აპარატის მიერ, ბავშვთა უფლებებზე, ადრეულ ქორწინებასა და სახალხო დამცველის მანდატზე მომზადებული თემატური საინფორმაციო ბროშურები გადასცა.

ბავშვთა კვირეულის ფარგლებში, სახალხო დამცველის წარმომადგენელი წყალტუბოში, საზაფხულო ბანაკის მოსწავლეებს ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმებსა და სახეებზე, ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით სახალხო დამცველის აპარატის როლისა და საქმიანობაზე ესაუბრა.

შეხვედრები გაიმართა აგრეთვე, ქუთაისის სკოლა „მერმისში“, სადაც მოსწავლეებს ბავშვთა უფლებების კონვენცია გააცნეს, უფლებებსა და უფლებების დაცვის სამართლებრივ მექანიზმებზე ესაუბრა.

7.2. სახალხო დამცველმა საქართველოში მცხოვრებ მუსლიმებს რამადანის დაწყება მიულოცა

6 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოში მცხოვრებ მუსლიმებს რამადანის დაწყება მიულოცა და მათ სულიერი და ფიზიკური მხნეობა, ასევე რელიგიური ცხოვრების მათთვის მნიშვნელოვანი ამ ეტაპის მშვიდობით გავლა უსურვა.

7.3. 20 ივნისი ლტოლვილთა საერთაშორისო დღეა

20 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველმა თბილისში, მეტროსადგურ „თავისუფლების მოედანთან“ ლტოლვილთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საინფორმაციო კამპანია გამართა, რომელსაც გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლებიც შემოუერთდნენ.

ღონისძიებაზე ლტოლვილთა უფლებების შესახებ საზოგადოების ინტერესის გაზრდისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა მოქალაქეებს მიაწოდეს ინფორმაცია თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა უფლებების შესახებ, ასევე დაურიგეს საინფორმაციო ბუკლეტები და ფლაერები.

8. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

8.1. ტრეფიკინგის საკითხებში ევროსაბჭოს ექსპერტთა ჯგუფის ანგარიში საქართველოს შესახებ

3 ივნისს ტრეფიკინგის საკითხებში ევროსაბჭოს ექსპერტთა ჯგუფმა (GRETA) საქართველოს შესახებ მეორე ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიშის თანახმად, საქართველომ 2012 წლის შემდეგ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის, მონაცემების შეგროვებისა და დაზარალებულთა დახმარების გასაუმჯობესებლად სამართლებრივი ზომების განვითარების კუთხით პროგრესს მიაღწია, თუმცა მიღწეული პროგრესის მიუხედავად, რჩება საკითხები, რომლებიც შეშფოთებას იწვევს და სასწრაფო რეაგირებას მოითხოვს; მათ შორის, საჭიროა მეტი გაკეთდეს ტრეფიკინგის მსხვერპლთა ვინაობის დასადგენად, მათ დასახმარებლად, ასევე ეფექტიანი გამოძიების ჩასატარებლად და პასუხისმგებელი პირების გამოსავლენად.

2016 წლის ანგარიშის თანახმად, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოში ტრეფიკინგის მსხვერპლად 80-მდე ადამიანი იქნა ოფიციალურად აღიარებული. მათი უმრავლესობა საქართველოს მოქალაქეა. მსხვერპლი ჩართული იყო იძულებით შრომაში როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

ევროსაბჭოს ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა საქართველოს მიერ წინა ანგარიშში მითითებული რეკომენდაციების შესრულება – სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა თავი დაზარალებული არასრულწლოვნების შესახებ; შეიქმნა სპეციალური მობილური ჯგუფები ქუჩაში მყოფი ბავშვების დასაცავად და დასახმარებლად, ასევე შეიქმნა ტრეფიკინგის შესახებ ერთიანი ბაზა.

დოკუმენტში განხილულია სახალხო დამცველის ანგარიშები და რეკომენდაციები მიგრაციის ფემინიზაციისა და სოფლად მცხოვრები, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და დევნილი ქალების საჭიროებების შესახებ; ასევე, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში გენდერული მიდგომებისა და გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელების აუცილებლობაზე; თავშესაფრებში ბავშვთა საკითხებზე სპეციალისტების და სოციალური მუშაკების საჭიროებაზე, ბავშვი მსხვერპლებისათვის ხელსაყრელი პირობების არარსებობაზე; შშმ მსხვერპლებისა და გადამდები ინფექციური დაავადებების მქონე მსხვერპლებისთვის სერვისის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საჭიროებაზე და ა.შ.

GRETA მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გადადგას მომდევნო ნაბიჯები ტრეფიკინგის მსხვერპლთა დროული იდენტიფიცირებისთვის და განსაკუთრებული ყურადღება არასრულწლოვანი მსხვერპლის დახმარებაზე გაამახვილოს.

ტრეფიკინგის საკითხებს მიმოიხილავს აგრეთვე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის **30 ივნისს** გამოქვეყნებული **ანგარიში საქართველოში შრომითი ექსპლუატაციის მდგომარეობის შესახებ.**

ყოველწლიურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველო კვლავ რჩება ქალებისა და გოგონების სექსუალური ექსპლუატაციის, ასევე მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების შრომითი ექსპლუატაციის წყაროდ, სატრანზიტო და დანიშნულების ქვეყნად; თუმცა, საქართველო ტრეფიკინგს წინააღმდეგ ყველაზე წარმატებულად მებრძოლი ქვეყნების სიაშია და მთავრობა მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმეში.

ანგარიში შეიცავს რეკომენდაციებს რომლის თანახმად, საქართველოს მთავრობამ უნდა გააქტიუროს ძალისხმევა ტრეფიკინგის შედეგად დაზარალებულთა იდენტიფიცირების და ტრეფიკინგში ეჭვმიტანილი პირების პასუხისგებაში მიცემის მიზნით; ასევე ჩაატაროს მრავალმხრივი გამოკვლევა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების საკითხზე, შექმნას ინტეგრირებული, უწყებათაშორისი სტრატეგია მოწყვლადობის შემცირებისა და იძულებითი მათხოვრობის აღსაკვეთად, ჩაუტაროს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს შესაბამისი ტრენინგები, გააგრძელოს მოსახლეობის მოწყვლად ჯგუფებზე ორიენტირებული საგანმანათლებო-საინფორმაციო კამპანია ტრეფიკინგის, სამართლებრივი დაცვისა და ხელმისაწვდომი მომსახურების შესახებ.

8.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს წინააღმდეგ

14 ივნისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს ყოფილი პრემიერ–მინისტრის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების საკითხს ეხება.

საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე–5 მუხლის მე–3 პარაგრაფის დარღვევა, რომელიც ეხება მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობის გადახედვის შესახებ 2013 წლის 25 სექტემბრის სასამართლოს განჩინებას. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ეროვნულმა სასამართლომ არ დაასაბუთა მერაბიშვილის პატიმრობაში დატოვების აუცილებლობა და არ განიხილა არასაპატიმრო ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა.

ამასთან, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე–18 მუხლის (უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები) დარღვევა მე–5 მუხლის პირველ პარაგრაფთან ერთობლიობაში. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ „მერაბიშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება ემსახურებოდა არა მხოლოდ მომჩივანის შესაბამისი ორგანოების წინაშე წარდგენას, საჯარო სამსახურის პერიოდში უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სხვა სისხლის სამართლებრივი დანაშაულების ჩადენის შესახებ არსებული გონივრული ეჭვის გამო, არამედ ასევე პროკურატურამ გამოიყენა დამატებით შესაძლებლობა, მისგან მოეპოვებინა ჩვენება ყოფილი პრემიერ–მინისტრის გარდაცვალების საქმესა და ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის ფინანსური საქმიანობის შესახებ“.

საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მერაბიშვილის შუამდგომლობა კონვენციის მე–5 მუხლის პირველი და მესამე პარაგრაფების დარღვევის შესახებ, რაც ეხებოდა ეროვნული სასამართლოს მიერ ვანო მერაბიშვილისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ 2013 წლის 22 და 25 მაისის გადაწყვეტილებების დასაბუთებულობას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, საქართველომ მომჩივანს უნდა გადაუხადოს 4 000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის და 8 000 ევროს ოდენობის კომპენსაცია გაწეული ხარჯებისათვის.

8.3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს წინააღმდეგ

21 ივნისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ჭანკოტაძე საქართველოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ორი მუხლის დარღვევა დაადგინა – მე–5 მუხლის პირველი პარაგრაფის (თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება) და მე–6 მუხლის პირველი პარაგრაფის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება). საქმე ეხება საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ყოფილი თავმჯდომარის, აწ გარდაცვლილი ზურაბ ჭანკოტაძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობისა და თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესახებ გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერებას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „საქართველოს ხელისუფლებამ ჭანკოტაძის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის იანვრის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის საფუძველზე, რომელიც სავარაუდოდ კრძალავდა საქართველოს სამოქალაქო საავიაციო სააგენტოს მიერ კერძო ავიაკომპანიებისთვის ნებისმიერი გადასახადის დაწესებას“. თუმცა, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის გადაწყვეტილების მოტივაციის გათვალისწინებით, არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ გადაწყვეტილებით სამოქალაქო საავიაციო სააგენტოს მთლიანად აეკრძალა კერძო ავიაკომპანიებთან გარკვეული მომსახურების თაობაზე ხელშეკრულებების გაფორმება. შესაბამისად, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ გაუგებარია ეროვნული სასამართლოს მიერ ჭანკოტაძის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა, იმის გათვალისწინებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის იანვრის გადაწყვეტილება კერძო ავიაკომპანიებთან ხელშეკრულებების დადებას მთლიანად არ კრძალავდა.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, საქართველომ დაზარალებულს უნდა გადაუხადოს 20 000 ევრო არამატერიალური ზიანის და 15 ათასი ევრო გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების მიზნით.

9. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

9.4. ახალი თანამშრომელი

1 ივნისიდან სახალხო დამცველის აპარატში იურიდიულ საკითხებში მთავარი მრჩევლის თანამდებობაზე მუშაობა დაიწყო ვანდა ჯიჯელავამ.

9.5. მომართვიანობის სტატისტიკა

ივნისის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 806 განცხადება. დასაშვებობის გავლის შემდეგ 669 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი –10
- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი – 42
- სს მართლმსაჯულების დეპარტამენტი – 327
- რეგიონული სამმართველო – 202
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი – 25
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი – 19
- შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი – 33
- ანალიტიკური დეპარტამენტი – 8
- თანასწორობის დეპარტამენტი – 21
- თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი – 3



შემოსული განცხადებები თემატურად შემდეგნაირად გადანაწილდა

- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა - 1
- ჯანმრთელობის უფლება - 6
- შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება - 1
- ინფორმაციის მიღების უფლება - 56
- დისკრიმინაცია - 5
- ეთნიკური უმცირესობების უფლებები - 1
- რელიგიის თავისუფლება - 2
- გადაადგილების თავისუფლება - 1
- საერთო სასამართლოებში საქმის განხილვის გაჭიანურება - 2
- სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გაჭიანურება - 25
- ეკოლოგიურ-გარემოსდაცვითი უფლებები - 9
- განათლების უფლება - 3
- ხანდაზმულთა უფლებები - 3
- ეკო-მიგრანტთა უფლებები - 4
- დევნილთა უფლებები - 7
- სოციალური დახმარებს საკითხი - 34
- შრომითი უფლებები - 2
- საკუთრების უფლება - 10
- უფლება სათანადო საცხოვრისზე - 14
- პატიმრობების პირობები - 214
- პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა - 88
- წამება და არასათანადო მოპყრობა - 28
- ბავშვის უფლებები - 18
- გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებები - 12
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები - 11
- დამატებითი განცხადება და სხვა - 249



კონტაქტი

ცხელი ხაზი – 1481

თბილისი:
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ოზურგეთი:
დავით აღმაშენებლის 9
ტელ.: 0496 27 30 53
მობ.: 593 44 44 27

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის 4
ტელ.: 0362 22 32 83
მობ.: 577 12 27 70;
591 96 88 82

ზუგდიდი:
კოსტავას 58
ტელ.: 0415 22 36 11
მობ.: 595 52 53 56

ბათუმი:
მაზნიაშვილის 9
ტელ.: 0422 27 05 44
მობ.: 595 80 78 43

მარნეული:
რუსთაველის 51
ტელ.: 0357 22 19 70
მობ.: 595 52 53 57

გორი:
სამების N1
ტელ.: 0370 27 05 49
მობ.: 551 66 14 77

ქუთაისი:
რუსთაველის 18
ტელ.: 0431 25 33 50
მობ.: 577 55 33 81

თელავი:
ჩოლოყაშვილის 3
მობ.: 591 88 35 38
ტელ.: 0350 27 99 27

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ნიკო თათულაშვილი
ლევან მესხორაძე